

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის
ბრძანება
N483

24.06.2013

„იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის 14¹ მუხლით განსაზღვრული
პნევმატური იარაღის ძირითადი ტექნიკური
მახასიათებლების დამტკიცების შესახებ

„იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის 14¹ მუხლის „ბ“, „გ“, „დ“ და „ზ“ ქვეპუნქტების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 27 დეკემბრის N614 ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების მე-11 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. თანდართული სახით დამტკიცდეს:

- ა) „იმ პნევმატური იარაღის ძირითადი ტექნიკური მახასიათებლები, რომელიც არ დაიშვება სამოქალაქო ბრუნვაში“ (დანართი N1);
- ბ) „ტირის, სასროლეთისა და სანადირო სტენდის გახსნის ნებართვის მფლობელი ფიზიკური ან იურიდიული პირის კუთვნილი, სამოქალაქო ბრუნვაში დაშვებული იმ პნევმატური იარაღის ძირითადი ტექნიკური მახასიათებლები, რომელიც ექვემდებარება რეგისტრაციას“ (დანართი N2);
- გ) „სამოქალაქო ბრუნვაში დაშვებული იმ სანადირო და სპორტული პნევმატური იარაღის ძირითადი ტექნიკური მახასიათებლები, რომლის ტარება დასაშვებია საჯარო სამართლის იურიდიულ პირში – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში რეგისტრაციის შემდეგ“ (დანართი N3);
- დ) „სამოქალაქო ბრუნვაში დაშვებული იმ პნევმატური იარაღის კონსტრუქციის ძირითადი ტექნიკური მახასიათებლები, რომლის ტარება აკრძალულია“ (დანართი N4).

2. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი

იმ პნევმატურიიარადის ძირითადი ტექნიკური მახასიათებლები, რომელიც არ დაიშვება სამოქალაქო ბრუნვაში

1. სამოქალაქო ბრუნვაში არ დაიშვება ის პნევმატური იარაღი, რომლის ტექნიკური მახასიათებლები აღემატება 4.5 მმ კალიბრს.
2. სამოქალაქო ბრუნვაში დაიშვება ელექტროპნევმატური (air soft) და საღებავის ბურთულების სასროლი პნევმატური იარაღი (paint ball).

-

ტირის, სასროლეთისა და სანადირო სტენდის გახსნის ნებართვის მფლობელი ფიზიკური ან იურიდიული პირის კუთვნილი, სამოქალაქო ბრუნვაში დაშვებული იმ პნევმატურიიარადის ძირითადი ტექნიკური მახასიათებლები, რომელიც ექვემდებარება რეგისტრაციას

ლულისსიგრძე	არა უმეტეს 50 სმ	50 სმ და მეტი
გასროლილი ჭურვის საწყისი ენერგია (ჯოული)	3–ზე მეტი ჯოული	4 ჯოული და მეტი
ჭურვის შემადგენლობა	პლასტმასის ან ლითონის ბურთულა/ტყვია	
ჭურვისწონა	0.32–0.45 გრ	

შენიშვნა:

1. პნევმატური იარაღი ექვემდებარება რეგისტრაციას, თუ არსებობს ამ დანართით განსაზღვრული ლულის სიგრძის და გასროლილი ჭურვის საწყისი ენერგიის (ჯოული) ტექნიკური მახასიათებლები.

2. რეგისტრაციას არ ექვემდებარება ელექტროპნევმატური იარაღი (air soft) და საღებავის ბურთულების სასროლი პნევმატური იარაღი (paint ball).

3. ამ დანართით გათვალისწინებული გასროლილი ჭურვის საწყისი ენერგია (ჯოული) განსაზღვრულია ჭურვის შემადგენლობისა და წონის მაჩვენებლების შესაბამისად.

დანართი N3

სამოქალაქო ბრუნვაში დაშვებული იმ სანადირო და სპორტული პნევმატური იარაღის ძირითადი ტექნიკური მახასიათებლები, რომლის ტარება დასაშვებია საჯარო სამართლის იურიდიულ პირში – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში რეგისტრაციის შემდეგ

ლულისსიგრძე	50 სმ და მეტი
გასროლილი ჭურვის საწყისი ენერგია (ჯოული)	5 ჯოული და მეტი
ჭურვის შემადგენლობა	პლასტმასის ან ლითონის ბურთულა/ტყვია
ჭურვისწონა	0.32–0.45 გრ

შენიშვნა:

1. პნევმატური იარაღი ექვემდებარება რეგისტრაციას, თუ არსებობს ამ დანართით განსაზღვრული ლულის სიგრძის და გასროლილი ჭურვის საწყისი ენერგიის (ჯოული) ტექნიკური მახასიათებელი.

2. ამ დანართით გათვალისწინებული გასროლილი ჭურვის საწყისი ენერგია (ჯოული) განსაზღვრულია ჭურვის შემადგენლობისა და წონის მაჩვენებლების შესაბამისად.

3. რეგისტრაციას არ ექვემდებარება ელექტროპნევმატური იარაღი (air soft) და საღებავის ბურთულების სასროლი პნევმატური იარაღი (paint ball).

სამოქალაქო ბრუნვაში დაშვებული იმ პნევმატური იარაღის კონსტრუქციის ძირითადი ტექნიკური მახასიათებლები, რომლის ტარება აკრძალულია

ლულისსიგრძე	არა უმეტეს 50 სმ	
გასროლილი ჭურვის საწყისი სიჩქარე (მ/წმ)	130 მ/წმ-ზე მეტი	
გასროლილი ჭურვის საწყისი ენერჯია (ჯოული)	3-ზე მეტი ჯოული	
ჭურვისშემადგენლობა	პლასტმასის ან ლითონის ბურთულა/ტყვია	
ჭურვისწონა	0.32-0.45 გრ.	

შენიშვნა:

1. პნევმატური იარაღის ტარება აკრძალულია იმ შემთხვევაში თუ არსებობს ამ დანართით განსაზღვრული გასროლილი ჭურვის საწყისი სიჩქარის (მ/წმ) ან გასროლილი ჭურვის საწყისი ენერჯიის (ჯოული) ტექნიკური მახასიათებელი.
2. ამ დანართით გათვალისწინებული გასროლილი ჭურვის საწყისი სიჩქარე (მ/წმ) და გასროლილი ჭურვის საწყისი ენერჯია (ჯოული) განსაზღვრულია ჭურვის შემადგენლობისა და წონის მაჩვენებლების შესაბამისად.
3. ამ დანართით განსაზღვრული აკრძალვა არ ვრცელდება ელექტროპნევმატური იარაღის (air soft) და საღებავის ბურთულების სასროლი პნევმატური იარაღის (paint ball) ტარებაზე.